საგრანტო ხელშეკრულება № 3/35 0305/26

ქ. თბილისი „30“„06“ 2014 წ.

1. ხელშეკრულების დამდები მხარეები
1.1. ერთი მხრივ, საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო (გრანტის გამცემი, შემდგომში „დონორი“), მისი მინისტრის მოადგილის დავით ლომიძის სახით, და მეორე მხრივ გრანტის მიმღები, საქართველოს დიაბეტის და ენდოკრინოლოგიური ასოციაციების კავშირი, კავშირის თავმჯდომარის რამაზ ყურაშვილის სახით.

2. ხელშეკრულების საგანი
ხელშეკრულების საგანს წარმოადგენს საქართველოს მთავრობის 2012 წლის 14 მაისის №180 დადგენილებით დამტკიცებული „კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების (პროტოკოლები) შემუშავების საგრანტო პროგრამის“ ფარგლებში და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 8 ივნისის №01-157/ო ბრძანების შესაბამისად, კლინიკური მდგომარეობების მართვის სახელმწიფო სტანდარტების შემუშავების მიზნით განხორციელებულ საგრანტო კონკურსის ფარგლებში შერჩეული პროტოკოლების პროექტის (დანართი N1) დონორისთვის გადაცემა.

3. შესრულების ვადები
ხელშეკრულების ვადები განსაზღვრულია საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 8 ივნისის №01-157/ო ბრძანების შესაბამისად.

4. მიღება-ჩაბარების წესი
4.1. მიღება-ჩაბარებისაქტის გაფორმებით დასტურდება საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსათვის პროტოკოლის გამოყენებაზე უფლების მინიჭება.
4.2. მიღება-ჩაბარების აქტს დონორის მხრიდან ხელს აწერს სათანადოდ უფლებამოსილი წარმომადგენელი - საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2012 წლის 8 ივნისის №01-157/ო ბრძანების საფუძველზე შექმნილი კომისიის თავმჯდომარე, ხოლო შემსრულებლის მხრიდან, მის მიერ უფლებამოსილი პირი.

5. ანგარიშსწორება
5.1. ანგარიშსწორების ფორმა იქნება: უნაღდო ანგარიშსწორება, ეროვნულ ვალუტაში - ლარებში.
5.2. ანგარიშსწორება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების მე-4 პუნქტით განსაზღვრული მიღება-ჩაბარების აქტის საფუძველზე, მაგრამ არაუგვიანეს მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 10 სამუშაო დღის განმავლობაში.

6. მხარეთა უფლება-მოვალეობანი
6.1. დონორი ვალდებულია უზრუნველყოს საგრანტო თანხის დროული გადარიცხვა მიღება-ჩაბარების აქტის შესაბამისად, გრანტის მიმღების საბანკო ანგარიშზე;
6.2. გრანტის მიმღები უფლებამოსილია ხელშეკრულების პირობების შესაბამისად, მოსთხოვოს დონორს საგრანტო თანხის დროული გადარიცხვა მის საბანკო ანგარიშზე;

7. ხელშეკრულების პირობების გადასინჯვა
7.1. თუ რაიმე წინასწარ გაუთვალისწინებელი მიზეზების გამო წარმოიშობა ხელშეკრულების პირობების შეცვლის აუცილებლობა, ცვლილებების შეტანის ინიციატორი მხარე ვალდებულია წინასწარ შეატყობინოს მეორე მხარეს შესაბამისი ინფორმაცია.
7.2. ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება ან/და დამატება უნდა გაფორმდეს წერილობით, ხელშეკრულების დანართის სახით, რომელიც ჩაითვლება ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილად.

8. დავები და მათი გადაწყვეტის წესი

8.1. მხარეთა შორის წამოჭრილი დავა შესაძლებელია გადაწყვეტილ იქნეს ერთობლივი მოლაპარაკების საფუძველზე.

8.2. მხარეებმა ყველა ღონე უნდა იხმარონ, რათა შეთანხმებით მოაგვარონ ყველა უთანხმოება და დავა, წარმოქმნილი მათ შორის ხელშეკრულების ან მასთან დაკავშირებული სხვა კომპონენტის ირგვლივ.

8.3. თუ მხარეები ვერ შეძლებენ მოლაპარაკების საფუძველზე გადაწყვიტონ დავა, მაშინ ნებისმიერ მხარეს შეუძლია მიმართოს საქართველოს შესაბამის სასამართლოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

9. სხვა პირობები

9.1. მხარეები ხელმძღვანელობენ ურთიერთპატივისცემის პრინციპით და თანამშრომლობის გაღრმავების სურვილით.

9.2. ხელშეკრულების მხარეები ვალდებულნი არიან გაუფრთხილდნენ თითოეულის სახელს, საქმიან რეპუტაციას და ღირსებას.

9.3. მხარეები ვალდებულნი არიან დაიცვან ერთობლივი საქმიანობის შედეგად მათთვის ცნობილი მეორე მხარის კონფიდენციალური ინფორმაცია.

9.4. ხელშეკრულების მხარეებს არა აქვთ უფლება გააკეთონ განცხადება მეორე მხარის მიერ ხელშეკრულების ვერ ან არ შესრულების, მისი შესრულებისას დარღვევების და ა. შ. თუ წინასწარ არ მოხდა შესაბამისი საკითხის ერთობლივი შესწავლა და შესაბამისი ფაქტების დადასტურება.

9.5. კონფიდენციალობის დარღვევად არ ჩაითვლება შემთხვევა, როდესაც ინფორმაციის გამჟღავნება წარმოადგენს კანონის ან კანონის საფუძველზე ხელისუფლების რომელიმე ორგანოს მიერ გამოცემული აქტის მოთხოვნას.

9.6. ხელშეკრულება შედგენილია 3 ეგზემპლარად და თითოეულ მათგანს გააჩნია თანაბარი იურიდიული ძალა.

9.7. ხელშეკრულების ერთი ეგზემპლარი ინახება გრანტის მიმღებთან, ორი - დანორთან.

9.8. ხელშეკრულების მოქმედების ვადა განისაზღვრება 2014 წლის 31 ივლისის ჩათვლით.

10. მხარეთა რეკვიზიტები

„გრანტის გამცემი“	„გრანტის მიმღები“
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო საიდენტიფიკაციო კოდი: №211333957 ქ. თბილისი, 0119, წერეთლის გამზ. №144. სახელმწიფო ხაზინა ბანკის კოდი: TRESGE22 (220101222) ა/ა 200122900	დიდუბე-ჩუღურეთი/ლუბლიანას ქ.N5/ჩაჩავეს ქ.N1 სს „საქართველოს ბანკი“ ბანკის კოდი BAGAGE22; ა.ა. GE88BG0000000120632500
დავით ლომიძე მინისტრის მოადგილე	რამაზ ყურაშვილი კავშირის თავმჯდომარე

ვიზა: ი. ბიბილაშვილი

ი. ქიტიაშვილი

ი. აბრამიშვილი

ა. თორია

ნ. ბერიძე

შემსრულებელი: ნ. ბერუაშვილი

დანართი N1

N	პროტოკოლის დასახელება	დარგი/სპეციალობა	ხელმძღვანელი	საგრანტო თანხა
1	ორსულობის პერიოდში შაქრიანი დიაბეტი ტიპი 1 და ტიპი 2-ის მართვა	ენდოკრინოლოგია/მეანობა-გინეკოლოგია	რამაზ ყურაშვილი	200

ხ ე ლ წ ე რ ი ლ ი

„30“ „06“ 2014 წ.

ჩვენ, ქვემოთ ხელის მომწერნი, ვადასტურებთ, რომ საქართველოს დიაბეტის და ენდოკრინოლოგიური ასოციაციების კავშირის მიმართ სრულად ვაკმაყოფილებთ „სახელმწიფო შესყიდვების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლით დადგენილ, ინტერესთა კონფლიქტის თავიდან აცილების პირობებსა და წესს.

დ.ლომიძე

ი. ბიბილაშვილი

ი. აბრამიშვილი

ნ. ბერიძე

ნ. ბერუაშვილი